საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნონა თოლორაიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**17**	**20**
წერის უნარი	**17**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**82**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნონა თოლორაიას შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნონა თოლორაიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ნონა თოლორაია არის კორექტული, თავდაჭერილი და აქვს სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენისა და საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამასთან, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ ნონა თოლორაიას პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომელთაც კანდიდატთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	ნონა თოლორაია სისხლის სამართლის მიმართულებით მეტნაკლებად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარით.
წერის უნარი	17	20	ნონა თოლორაიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი არგუმენტებს გადმოსცემს თანმიმდევრული და ადვილად აღქმადი ენით. აღსანიშნავია, რომ ნონა თოლორაიას მიერ შესრულებული დოკუმენტები არის გამართული და ნათელი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული, ღიად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა.

[1] სააპელაციო საჩივარი მოსამართლის განაჩენზე: სააპელაციო საჩივარი N0012108645, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე, შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე: 2018 წლის 21 ივნისს ზუგდიდის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში წარდგენილი შესაგებელი N13/23-46736 დადგენილება პირის ბრალდების შესახებ: 2019 წლის 17 აპრილის დადგენილება N0012751750 პირის ბრალდების შესახებ, დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ: 2018 წლის 18 ივნისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. აპროცესო შეთანხმების დადების ოქმი: 2019 წლის 18 აპრილის საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი N0012755191.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	ნონა თოლორაია გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2007 წელს, სტატისტიკური ინფორმაცია მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე ვერ იქნა მოძიებული.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	ახალი ცოდნის შეძენის მიზნით კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ რამდენიმე ტრენინგში, სემინარსა და სასწავლო კურსში.
პროფესიული აქტივობა	3	5	ნონა თოლორაიას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ რამდენიმე ღონისძიებაში და გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები. თუმცა, კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
ქულათა ჯამი	82	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნონა თოლორაია კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნონა თოლორაიას შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს

	შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ნონა თოლორაიას დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ნონა თოლორაიას შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე უნდა ითქვას, რომ ნონა თოლორაიას პირად თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებსაც მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ დადებითად. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და კომუნიკაბელური. მნიშვნელოვანია, რომ ნონა თოლორაიას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და იგი სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ მას სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები. რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* კანდიდატის დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობითა და სამართლიანობით. ასევე, მასთან, გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ნონა თოლორაია არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. რაც შეეხება, ნონა თოლორაიას პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი 2008-2010 წლებში იყო „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი და ეკავა ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა. ხოლო 2012 წელს იგი გახლდათ პარტია „ქართული ოცნების“ წევრი და ეკავა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საოლქო შტაბების რეგიონალური კოორდინატორის თანამდებობა. ამასთან, ნონა თოლორაია წარმოადგენდა პარლამენტის წევრობის კანდიდატს პროპორციული სიით.

	თუმცა, საჯარო მოსმენაზე მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან* დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნონა თოლორაია იცავდა სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას იყო კორექტული და გამოირჩეოდა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საჯარო მოსმენისას კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხებზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ იგი არის მშვიდი, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ გამოკითხული რეკომენდატორებიდან ერთ-ერთი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს მის „უკომპრომისობას". მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. თუმცა, შსს-ს ერთიან საინფორმაციო ბანკში ინახება ინფორმაცია კანდიდატის მიმართ წარსულში არსებულ სისხლისამართლებრივი დევნის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის (2006 წლის 31 მაისის რედაქციით) 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით. ნონა თოლორაია განაცხადში უთითებს, იმასაც რომ მან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის განაჩენი, მის მიმართ ცრუ და უკანონო ბრალდების საქმეზე. *პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს* რაც შეეხება, ნონა თოლორაიას პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში გამოირჩევა კარგი რეპუტაციით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის საქმიანობასთან დაკავშირებით, რესპუბლიკური პარტიის წევრობის შესახებ და სხვ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნონა თოლორაია მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან* დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ნონა თოლორაიას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი

ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ნონა თოლორაიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ნონა თოლორაია სისხლის სამართლის მიმართულებით მეტნაკლებად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 12 აპრილს ნონა თოლორაიასთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო გაწონასწორებული, მშვიდი და კორექტული. თუმცა, კანდიდატმა რამდენიმე დასმულ შეკითხვაზე ვერ შეძლო პასუხის გაცემა. აგრეთვე, მას ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე გაუჭირდა მისი პოზიციის ნათლად, არგუმენტირებულად გადმოცემა და სწორი, სრულყოფილი და დასაბუთებული სამართლებრივი მსჯელობის განვითარება.

კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u>*

[2] იხ. ნონა თოლორაიასთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=Are_oheYwyo

	დაკავშირებით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ნონა თოლორაიას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 6 წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი. ნონა თოლორაიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი არგუმენტებს გადმოსცემს თანმიმდევრული და ადვილად აღქმადი ენით. აღსანიშნავია, რომ ნონა თოლორაიას მიერ შესრულებული დოკუმენტები არის გამართული და ნათელი. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. ნონა თოლორაიას *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული, ღიად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. ნონა თოლორაიას *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პუნქტუალურობით, საქმის პასუხისმგებლობით მომზადების, სხდომების სათანადოდ წარმართვისა და მხარეებთან სწორად მოქცევის უნარით. ამასთან მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2007 წელს, სტატისტიკური ინფორმაცია მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე ვერ იქნა მოძიებული. ნონა თოლორაიას *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ რამდენიმე სემინარში, ტრენინგსა და სასწავლო კურსში. ამასთან, მას გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. აღსანიშნავია, რომ იგი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. თუმცა, უძღვებოდა სალექციო კურსებს „შოთა მესხიას

[3] სააპელაციო საჩივარი მოსამართლის განაჩენზე: სააპელაციო საჩივარი N0012108645, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე, შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე: 2018 წლის 21 ივნისს ზუგდიდის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში წარდგენილი შესაგებელი N13/23-46736 დადგენილება პირის ბრალდების შესახებ: 2019 წლის 17 აპრილის დადგენილება N0012751750 პირის ბრალდების შესახებ, დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ: 2018 წლის 18 ივნისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი: 2019 წლის 18 აპრილის საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი N0012755191.

	სახელობის ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტში“. უნდა ითქვას ისიც, რომ ნონა თოლორაიას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ნონა თოლორაიასთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი, მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 82 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021 წ.